ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #13/2

ქ.წალენჯიხა 1 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის თემის #2 საჯარო სკოლა (შემდგომში შემკვეთი), მისი დირექტორის ვახტანგ გოგოხიას სახით და მეორეს მხრივ

ი/მ ედიშერ აფაქიძე (შემდგომში შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. სკოლის უკანა ეზოს გაწმენდა ეკალ-ბარდებისგან, მოთიბვა დასუფთავება, შხამ-ქიმიკატებით დამუშავება;

1.2. სკოლის წინა ეზოს და მინი-მოედნის მოწესრიგება;

1.3. წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობა;

1.4. ხელისდასაბანი კონსტრუქციის მონტაჟი და ონკანის მოწყობა;

1.5. კანალიზაციის მოწყობა;

1.6. კარის გამოცვლა ბიბლიოთეკაში;

1.7. სამასწავლებლო ოთახის რემონტი - კედლების, იატაკის დამუშავება-შეღებვა;

1.8. კარის საკეტის გამოცვლა.

1.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2100 (ორი ათასი) ლარს.

2.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2016 წლის 10 ოქტომბრამდე.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი;

3.2. შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ პირს წარმოადგენს: ი/მ ედიშერ აფაქიძე;

3.3. სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4.2. შემკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.4 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში

5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

5.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში საბანკო ანგარიშსწორებით. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 10კალენდარული დღის განმავლობაში.

7.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რის გამოც ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და მიზეზების შესახებ.

7.2 შეტყობინების მიმღებმა მხარემ მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულთან დაკავშირებით.

8.დამატებითი პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

8.2. ხელშეკრულ;ების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან, მეორე ეგზემპლარი ინახება შემკვეთთან.

რეკვიზიტები

„შემკვეთი“	„შემსრულებელი“
სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის	ი/მ ედიშერ აფაქიძე
ფახულანის თემის #2 საჯარო სკოლა	
მის.; წალენჯიხა ფახულანი	
ს/კ 242735965	ს/კ 51001013959
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE39LB0121115011053000	ა/ა GE19LB0112110606407000
დირექტორი ვახტანგ გოგოხია	ედიშერ აფაქიძე